განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

MES 0 23 0001714368

14/12/2023

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის აქტიური სტატუსის მქონე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსებას.

„გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამ 2023 წლის 17-20 ნოემბერის №27 სხდომაზე, მიიღო გადაწყვეტილება 2023-2024 სასწავლო წელს სტუდენტთა დაფინანსების გაგრძელების თაობაზე. შესაბამისად, 2023 წლის 8 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის №2199 განკარგულება, ხოლო მინისტრის 2023 წლის 13 დეკემბრის №1708591 ბრძანების საფუძველზე „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია აღნიშნული სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სწავლის დაფინანსებისთვის **განაცხადები მიიღება მხოლოდ ელექტრონულ პორტალზე http://socreg.mes.gov.ge 2023 წლის 14 დეკემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით** დეტალური ინფორმაცია პროგრამისა და ელექტრონულად განცხადებების წარდგენის შესახებ, განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე www.mes.gov.ge , ბანერში - „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება".

გთხოვთ, პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოთ სტუდენტებისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება და გაითვალისწინოთ, რომ ელექტრონული განცხადებების განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდება ეტაპობრივად, არაუგვიანეს 2024 წლის თებერვლისა. ამდენად, გთხოვთ, თავი შეიკავოთ პროგრამის ბენეფიციარებისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისგან და მისცეთ შუალედურ/ფინალურ გამოცდებში მონაწილეობის უფლება.

გმადლობთ, თანამშრომლობისთვის.

დანართი: 2 ფაილი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი განათლების განვითარების
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო